




19.02.2015

## „მწვანე ალტერნატივა“ ხუდონჰესის პროექტზე ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვს



„ლიბერალი“

შეუერთდი განხილვას

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს - Trans Electrica Limited, Trans Electrica Limited (Georgia), შპს „ენერგოტრანსი“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - შორის ზემო სვანეთში 702 მეგავატი სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების გაუქმებას **ითხოვს**. ორგანიზაცია ასევე მოითხოვს, მთავრობამ მომავალშიც უარი თქვას ამ კომპანიებთან შეთანხმების დადებაზე და არსებული შეთანხმების განახლებაზე.

ორგანიზაციის განმარტებით, ხუდონჰესის პროექტის განხორციელება სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებთან არის დაკავშირებული, ამასთან, არსებობს ხელშეკრულების გაუქმების მყარი საფუძველი, ვინაიდან დღემდე, პროექტის ინვესტორმა კომპანიამ არაერთხელ დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული

პირობები.

კომპანიამ „ვერ მოიპოვა პროექტის განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვა; ვერ მოამზადა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ვერ ჩაატარა საჯარო კონსულტაციები; ვერ წარმოადგინა განსახლების გეგმა; არ დააბრუნა მისთვის 1 აშშ დოლარად გადაცემული ადილობრივთა მიწა და ქონება" - ნათქვამია „მწვანე ალტერნატივის" განცხადებაში.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დათო ჭიპაშვილი ამბობს, რომ კომპანია Trans Electrica Limited არ ფლობს საქმიანობის წარმოებისთვის აუცილებელ ლიცენზიას.

„ჩვენ დავუკავშირდით ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების კომისიას, რომელმაც განმარტა, რომ მართალია, კომპანია Trans Electrica Limited რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, მაგრამ მას არ გაჩნია ოფისი ადგილზე და არ ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების ლიცენზიას. ამ ლიცენზიის ფლობა კი აუცილებელი წინაპირობაა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიების მიერ საქმიანობის (საინვესტიციო, სადაზღვევო, საბანკო) წარმოებისთვის, როგორც თავად ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ“, - ამბობს დათო ჭიპაშვილი.

მისი თქმით, ხელშეკრულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, ხუდონჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში აუცილებელი შესყიდვის თაობაზე (5.84 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ), ეწინააღმდეგება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებს, რომლის შესრულების ვალდებულება (ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტი) საქართველომ უკვე აიღო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as **Natalia Ksovreli** ▾

**Comment**

Facebook social plugin

ინტერნეტ მოდემი უფასოდ!

სახლში მიტანის სერვისი  
☎ 2 100 100